

სპორტული ჟურნალი

სპორტიელი



3 სოლომონ გულისაშვილი
მთავარი რუმიანოს მოვუგოთ

რა იყო კარგი და ცუდი უკრაინასთან შეხვედრაში

6 ტომა რაზვანი
გაიხსოვოლონი მშობლიური ფანბურთი?

რუმინელი ჟურნალისტი რუმინეთის ნაკრებზე — საგანგებოდ „სარბიელისთვის“

8 გიორგი ახვლედიანი
წყვილი

რომა — ლივერპული, 16 წლის შემდეგ

9 ირაკლი გამყრელიძე
სტანდარტი

კახა კალაძე „მილანში“ გადავიდა

10 სოლომონ გულისაშვილი
ჩითალი და შავი

თითქმის ყველაფერი „მილანის“ ცხოვრებაზე

16 ვაჰტა კვანტალიანი
საოცარი 4 მარტი

დინამო — ვესტ ჰემი ამბავი მეოთხედფინალისა

19 გიორგი დარჯანი
აქა ავბავი თავის მოგიშიანებისა და სხვა...

ჩემპიონთა ლიგა თებერვალში

20
სხვადასხვა

21 ბარუ სვანიძე
გაყინული ტიფატი და წაქცეული ლოგოსები

ბორჯღალოსანთა ორი გამარჯვება

23 ტუტა სიხარულიძე
ის აუვატიურებს, უბრებს კბინს და შვილებს ჭამს

ნერილი მაიკ ტაისონზე

26 ავთანდილ გურასაშვილი
ვარსკვლავები ყინულზე

იცით, რა უყვარდა გოეთეს?

14-15 მკერდი
ანდრე შევჩენო (მილანი)

მარეკანაზი

- I ალექო რეზიაშვილი უკრაინელთა გარემოცვაში (ბადრი კეთილადის ფოტო)
- III იტალიელი ფიგურისტი დიანა გერენჯერი და პსკალ კაპერლენგი (ავთანდილ გურასაშვილის ფოტო)
- IV „მილანი“ 2000-01



თებერვლის მთავარი ამბავი: კახა კალაძემ, ფოტოზე უკრაინელ ანდრეი ვორობეის რომ ებრძვის, იტალიურ „მილანთან“
ოთხწლიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად კახა პირველი ქართველი გახდა, ვინც მსოფლიო ხალხის აზრით მსოფლიოს უკლიერეს ლიგაში, სერია A-ში ითამაშებს, თან ისეი ვუნდში, ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჰილდოვს, ჩემპიონთა თასის მონაგბით მსოფლიო მაღრიდის „რეალს“ რომ ჩამორჩება.

რედაქტორი ილია ბაზუწავილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ნადირაშვილი
ოპერატორი მარინა ტაბიძე

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ზზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია

გაზეთი სარბიელის დაბეჭდვა

რეკლამა ურნალ «სარბიელში» — 93 16 08

მთავარია, რუმიანოს მოვუბოთ!

თბილისში ფეხბურთი დაბრუნდა

თებერვლის სუხიანი დღის მიუხედავად, ეროვნულზე ხალხი მაინც ბლომად მოსულიყო. აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ქართველებს დიდი დროშა გაეშალათ, პატარა ბიჭებს კი სახეები შინდისფრად შეეღებათ და აქა-იქ გამამხნეველებსაც შემოსძახებდნენ ხოლმე...



მინილ ყაველაშვილი და ვიტალი ლისიციანი (№7)

სოლომონ გულიანაშვილი

„უღებინებრებო“ უკრაინისა და ნაკლული საქართველოს ამხანაგურ მატჩს, ეგებ ნაღდი არც ეთქმის, მაგრამ ჩვენს მთავარ გუნდს ხომ დედაქალაქში წელიწადნახევარია არ ეთამაშა. დელავდნენ მწვრთნელები. ვინც სურდათ, ყველას თავი ვერ მოუყარეს. არადა, წლეულს პირველად შეკრებილიყვნენ. ქინკლაძე დაშავებულიყო, ვერ ჩამოვიდა შოთა არველაძე, თვითმფრინავმა გამოასწრო ნემ-

საძეს, თუმცა, თავად ამ საქმეში უბრალო იყო. იაშვილს თამაშის წინა დღეს, ვარჯიშისას მუხლის მყესი დაეჭიმა, ზაზა ჯანაშია კი კვლავ ორსახად მოგვევლინა, ჯერ რევაზ ძიბუაშვილს ათქმევინა, ბოლო დროს შოუმენის სახელი უფრო შეეფერება, ვიდრე ფეხბურთელისაო, ხოლო ორი კვირის თავზე, „კიოლნთან“ მატჩის შემდეგ: მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, აშკარად გამოიჩინოდა, ორივე გოლი მის აქტიურობას მოჰყვაო...

კალაძეც ხომ უკრაინელებს ჩამოჰყვა და

მონაკრებეთ გვიანლა შეუერთდა. მოკლედ, შეიკრიბნენ და ვერც შეიკრიბნენ. ხეირიანად წავარჯიშებაც არ დასცაღდათ. მერე კიდევ, არ იყო გათბობა, ცხელი წყალი და კიდევ რაღაც-რაღაცეები. მაგრამ არავის დაუწივლია — ითათბირეს, ითამაშეს და ერთმანეთი კვლავაც დაარწმუნეს, რომ თუ მონიღომებენ, ჯგუფიდან გასვლა მართლაც შეიძლება. ახლა ისეთი ვითარებაა, ნაკრებში ყველა ხალისით მოილტვისო — გვიტხრა დავით ყიფიანმა და ეს სიტყვები სასიკეთოდ გვე-

ალექსანდრე რახვიანიშვილმა (ბურთით) ჩვეალი ჟინით ითავაზ და ლამის ყველა ორთახროლა გოიგო



ნიშნა. ბოლოდროინდელმა შინაშლილობამ ხომ „მინდისფერ ლეგიონს“ ლამისაა თავიც დაკარგვინა და ნამუსიც.

ესეც რომ არ იყოს, მარტო იმ პატარა ბიჭებისთვის ღირს ოფლისდგრა, ჩვენს ლეგიონერებს თვალუბგაბრწყინებულნი რომ შესცქერიან. აჩიკო არველაძე და გოჩა ჯამარაული მწვრთნელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს. გასახდელის ჩასასვლელთან მათ მოზარდების მთელი ჯარი მიესია, გაყინული თითებით ბლოკოტებს უწვდოდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ და თვალბში შესცივინებდნენ. ამათაც არ დაუზარიათ და ვისაც გასწვდნენ, გული გაუთბეს. მერე, როცა მატჩი მთავრდებოდა, უამრავმა ყმაწვილმა გაიწია ფეხბურთელებისკენ. ჯერ პრესლოუსს წინ შეჯარდნენ და ლამის თამაში აღარ გვაყურებინეს, მერე კალაძეო, ხიზანიშვილიო, ქეცბაიაო, ყაველაშვილიო... გასაქანს აღარ აძლევდნენ. მათი გმირები გვირახში გაუჩინარდნენ, მაგრამ ისინი კიდევ კარგა ხანს იდგნენ და მოზღვავებული შთაბეჭდილებების დაღაგებას ცდილობდნენ. განა მათ ელაღატება?

თუთონ თამაში დიდი ვერაფერი სასეირო გამოდგა. განსაკუთრებით მეორე ნახევარი. პირველში ქართველებს ორჯერ უნდა



აშხანაპუბი ვატნი
14 თჳპერკალო. თბილისი
პოლის პაიჩაქა
35 000 აშხერკაპალო



საქართველო 0:0 უკრაინა

საძართმელო: გვარამაძე, სილაგაძე, ქემოკლიძე, კალაძე, კობიაშვილი (თოდუა 46), რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, ჯამარაული (აშვეთია 60), ქეცბაია, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი 66), ა. არველაძე (მენტეშაშვილი 52)
მთავარი მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი
უკრაინა: შოკოვსკი, სტაროსტიაკი (პოპოვი 50), ნესმანი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ლისიცვი, ტიმოშუკი, კარდაში (ვენგლინსკი 68), ვორობეი, მელაშჩენკო (ხომა 81)
მწვრთნელები: ვლადიმერ ვერემევი, ლეონიდ ბურიაკი
გაფრთხილება: დმიტრულინი (42), რეხვიაშვილი (90)
მსაჯი: ხ. მამედოვი (აზერბაიჯანი)



აშხანაპუბი ვატნი
28 თჳპერკალო
კიოლნი
30 000 აშხერკაპალო



კიოლნი 0:2 საქართველო

0:1 ქეცბაია (74), 0:2 აშვეთია (80)
საძართმელო: გვარამაძე, ხიზანიშვილი (აბრამიძე 46), სილაგაძე, ქემოკლიძე, კობიაშვილი (ასათიანი 46), ნემსაძე (ალექსიძე 46), რეხვიაშვილი, ცქიტიშვილი (თოდუა 46), ქეცბაია, შ. არველაძე (ზ. ჯანაშია 46), ა. არველაძე (აშვეთია 46)
მთავარი მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი

საქართველოს ნაკრები. მარცხნიდან დგანან: ყაველაშვილი, კობიაშვილი, ალაძე, ქამოალიძე, გვარამაძე, სხედან: სილაგაძე, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, არჩილ არველაძე



გაბრიელ კაბთილაძე

გაეტანათ, მაგრამ სტუმართა მეკარე შოკოვსკი რკინის კედლივით იდგა. რაღაც წამებში ჯერ ჯამარაულის ახლოდან დარტყმული მოიგერია, დასწრებაზე ყველაშვილმა იმარჯვა, მაგრამ ბურთი ხარისხს მორატყა, მესამედ იქვე მყოფმა ქეტბაიამ დაამატა, მაგრამ შოკოვსკიმ აუღო.

მერე კობაშვილის მარცხნიდან ჩაწოდებულს არგელაქემ თავი დაუხვედრა და ისევე მეკარემ ივარგა. ეგრე არ უნდაო და, თამაში რომ მორჩა, გასახდელიდან გამოსულ კეთილ უკრაინელს ხალხი შემოეხვია, ავტოგრაფებს სთხოვდნენ. შოკოვსკიმაც უარი არავის უთხრა და... ფულიან-საბუთებიანი საფულე ისე ააცალეს, კარგა ხანს ვერაფერი გაიგო...

ქართველებმა ლიტვა-იტალიასთან შემოდგომაზე გაღვივებული იმედის ნაკვერჩხალი არ გაანელეს, ჯანმგებარ უკრაინელებს უხვირო მინდორზე არაფერი დაუთმეს. ამან სტუმართა მწვრთნელ ლეონიდ ბურიაკს ათქმევინა, ტრადიციულად ტექნიკური ქართველები ათლეტურებიც გამხდარანო. ეს უპირველესად, ალბათ, ალექო რეხვიაშვილზე ითქმის. არაქართულად შრომისმოყვარე ქართველთა საყრდენი ნახევარმცველი ბოლო დროს „შინდისფერების“ ახალი ვარსკვლავი გახდა. ასეთი ძალისმიერი, „მუშა“ მოთამაშე უკვე თორმეტი წელიწადია აღარ გვყოლია, მას შემდეგ, რაც თენგიზ სულაქველიძე ფეხბურთიდან წავიდა.

მახსოვს, რევაზ ძიძუაშვილმა „დინამოში“ „ნორჩი დინამოელიდან“ 1992 წელს მიიღო. მაშინ ალექო ძირითადად ვერ ხვდებოდა და ლანჩხუთის „გურიაში“ გაანათხოვრეს. ჭეიშვილის დროინდელ ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა. მიიგრეო რუსთავის „მეტალურგისა“ და უკრაინული შეპეტოვკის „ტემპის“ მაისურებიც. მერე კი, 1997-ის სექტემბერში, რიგის „სკონტოში“ გადავიდა და აი, ახლა, 26 წლისა ჩამოყალიბებულ ფეხბურთულ მოგვევლინა. უკრაინასთან ჩვეული ჯივრით ითამაშა და ლამის ყველა ორთაბრძოლა მოიგო. არადა, ნაკრების მაისურა სულ მეექვსედ მოერგო.

ჩინებული იყო „შინდისფერთა“ მეორე საყრდენი ზურაბ ხიზანიშვილიც. აკი ქართველთაგან საუკეთესოდაც დაასახელეს. სხვა მრავალთან ერთად, ზურას ღირსება ისიცაა, რომ უშიშარია და დაცვასა თუ შუა ხაზში თანაბარი სიძლიერით თამაშობს. მიხრა-მოხრით ძალიან ჰგავს მამამისს, 70-80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ მცველს, და თუ ასე გააგრძელებს, შესაძლოა, ავტობოს კიდევ.

მოკლედ, სეზონი გაიხსნა. უკრაინასთან ფრე ეგებ კარგი არ არის, მაგრამ არც ცუდია. მით უმეტეს, რომ ტრიბუნიდან ჩვენებს რუმინელი დან აპოლზანი ზვერაჟდა. ძიძუაშვილმაც ამიტომ თქვა, რაღაც-რაღაცეებს დაგმალავთო.

ახლა კი, რუმინეთის ჯვრია, მატჩი, რომლის მოგებისთვისაც ეროვნული გუნდი 300 ათას ლარს მიიღებს და რომელზეც არათუ კონკრეტული შედეგი, არამედ, შესაძლოა, მთელი თაობის ბედიც ჰკიდია.



ახა ჯალაქი და ოლეგ ჰენდლინსკი (№14)

უკრაინის ნაერები. მარცხნიდან მჯანა: სტაროსტიანი, შოკოვსკი, მელაშჩენკო, ჯარლაში, ნესმაჩინი, გოლოვსკო. სხედან: ბიმოშჩანი, კორობაი, დმიტრულინი, ვაჟაჯი, ლისიცი



პოლსტორი კაზაკი

რამდენიმე ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ჯამში, ამხანაგურ მატჩებში ახალი ფეხბურთელი გამოსცადა. 2000 წლის ბოლოს ჩვენებმა ალჟირში ორი მატჩი გამართეს, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით (3:2) დასრულდა, ონდ ერთი მასპინძელთა, ერთი კი სტუმართა სასარგებლოდ. ახალ საუკუნეში რუმინეთის B ნაკრებმა სამხრეთ აფრიკის, მაროკოსა და პორტუგალიის გუნდებთან ერთად პორტუგალიაში გამართულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი ლადისლაუ ბოლონიმ იგივე ნაკრები ხორვატიაში წაიყვანა და იქაურ B ნაკრებთან ფრეს (2:2) მიაღწია.

ამ მოსამზადებელ მატჩებში, ნათამაშევი ფეხბურთელებიდან მთავარ ნაკრებში, რა თქმა უნდა, ყველა არ იქნება. აი, სავარაუდოდ, ვის დაუძახებს ბოლონი ოფიციალური შეხვედრებისთვის; მარიუს ნიკულაე (თავდამსხმელი, დინამო), იულიან ტამეში (ნახევარმცველი, დინამო), და-



მასარჩავის ჰირვალ მხვადრაში რუმინელი ჯივუ იბალიელ ფილიპო ინაბის ასა ახროლა

ნიელ პროდანი (მცველი, როკარი), ადრიან იენსკი (მცველი, რაბიდი), ადრიან ნეიგა (ნახევარმცველი, არგესი), კრისტიან დანჩია (მცველი, არგესი), ბოგდან მარა (თავდამსხმელი, არგესი), პოლ კოდრეა (ნახევარმცველი, ჯენოა, იტალია), კოზმინ ბარკაუანი (თავდამსხმელი, უნივერსიტატა).

ძველი გვარდიიდან ბოლონიმ უარი თქვა მიოდრა-

ბელოდეიჩის, დან პეტრესუსა და იოან ლუპესკუს დახმარებაზე. თურქული „გალათასარაის“ დიდმა რუმინელებმა გეორგე ჰაჯიმ და გეორგე პოპესკუმ კი თავად დაანებეს ნაკრებში თამაშს თავი.

თუმცა ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცს რუმინეთს გარეთ მაინც ეგულება საიმედო მოთამაშეთა ჯგუფი, რომლის დიდ ნაწილს ქვემოთ ჩამოვთვლით.

ბელი პერიოდი რამდენად ნაყოფიერი იყო და რამდენად არგო ნაკრებს. ამ კითხვაზე პასუხს პირველი 31 ოფიციალური მატჩი გასცემს. თუ რუმინეთი ისევე უღიმღამოდ ითამაშებს, როგორც ლიტვასა და სტუმარად იტალიასთან, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ ლადისლაუ ბოლონის წასვლა მოუხდეს, რადგან მისით უკმაყოფილოები ისედაც ბევრი არიან.




რუმინული ლეგიონი

რუმინული ლეგიონი



ადრიან ბუჩურელ ილიე
(თავდამსხმელი)
დაიბადა 1974 წლის 22 აპრილს
სიმაღლე 177 სმ, წონა 72 კგ
კლუბი: „ვალენსია“ / ესპანეთი
ადრინდელი კლუბები: „უნივერსიტატია“, „ელექტროპოტერე“, „სტილია“, „გალათასარაი“




ადრიან მუტუ
(ნახევარმცველი)
დაიბადა 1979 წლის 8 იანვარს
სიმაღლე 178 სმ, წონა 72 კგ
კლუბი: „ვერონა“ / იტალია
ადრინდელი კლუბები: „არჟენსი“, „პიტეშტი“, „დინამო“ / ბუქარესტი



იოან ვოირელ განეა
(თავდამსხმელი)
დაიბადა 1973 წლის 10 აგვისტოს
სიმაღლე 176 სმ, წონა 71 კგ
კლუბი: „შტუტგარტი“ / გერმანია
ადრინდელი კლუბები: „ბრაშოვი“, „უნივერსიტატია“, „გლორია“, „რაბიდი“ / ბუქარესტი



ფორინელ მუნტანესუ
(ნახევარმცველი)
დაიბადა 1979 წლის 26 იანვარს
სიმაღლე 172 სმ, წონა 69 კგ
კლუბი: „ვოლფსბურგი“ / გერმანია
ადრინდელი კლუბები: „რომპრიმი“, „მოტოარე დიზელი“, „სტილაუა“, „სალამანკა“



ვიორელ დინუ მოლდოვანი
(თავდამსხმელი)
დაიბადა 1972 წლის 8 ივლისს
სიმაღლე 177 სმ, წონა 75 კგ
კლუბი: „ნანტი“ / საფრანგეთი
ადრინდელი კლუბები: „გლორია“, „დინამო“ / ბუქარესტი, „ქსამაქსი“, „გრასპოპერი“, „ქოვენორი“, „ფენერბაჩე“



სეპილი



გიორგი ახვლედიანი

როცა ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ უფასო თასის მეორე მერვედფინალური მატჩი დასრულდა „ლივერპულსა“ და „რომას“ შორის, სტადიონის დიჯეიმ განთქმული იტალიური მელოდია „არივედერჩი (მშვიდობით) რომა“ ჩართო.

ეს მძიმე და არეული თამაში რომაელეებმა 1:0 მოიგეს, მაგრამ შინ, რომში მაიკლ ოუენის დუბლით დამარცხებულნი მაინც გამოეთიშნენ თასისთვის ბრძოლას. რომაელთათვის ეს საშვილიშვილო მარცხი არ ყოფილა, რადგან კლუბი იტალიის ჩემპიონობისთვის უფრო იბრძვის, ვიდრე ევროპის თასისთვის. ამის მიუხედავად, საპასუხო თამაში საომარი გამოდგა და „არივედერჩი რომას“ ჰანგებიც შეურაცხყოფად დაურჩათ. და საერთოდ, ამ თამაშის რომაულად აღმწერი საპროტესტო წერილი უფაში დევს.

ამასობაში კი აუცილებლად წამოტივტივდება თექვსმეტი წლის წინანდელი მივინება, როცა ეს ორი კლუბი „სტადიო ოლიმპიკოზე“ იდგა ერთმანეთის პირისპირ და ერთმანეთს ჩემპიონთა თასს ეცილებოდა. ის სხვა დრო იყო. საფეხბურთო ისტორია კი იცნობს უცნაურ საფეხბურთო წყვილებს, რომლებიც ეგებ ათწლეულების მანძილზე დაუძლიეს ერთმანეთს კონტინენტური შუაგობების წილისყრამ, მაგრამ ბოლოს მაინც შეახვედრებს ერთმანეთს.

ჩემპიონთა ლიგის ახლებურმა სისტემამ საკმე ისე წაიყვანა, რომ დღევანდლობის უძლიერესი კლუბები სეზონში ბარე ოთხჯერ შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ უფასო თასის გათამაშებას ჯერ კიდევ ძალუძს წარსულის სხვაგვარად გაცოცხლება. „რომასა“ და „ლივერპულის“ წლებიდან დღემდე იმ დროს გვახსენებს, როცა...

ის საოცარი თამაში იყო და ფრედ დამთავრდა. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ლივერპულმა ფილ ნილმა ანგარიში გახსნა და იმ დროის სერია A-ს მთავარმეგობლე პრუცომ გაათანაბრა. რომაში თამაშობდნენ მსოფლიოს ჩემპიონები ბრუნო კონტი და ფრანჩესკო გრაციანი, ბრაზილიელი ჯადოქარი რობერტო ფალკო და ანტონიო სერეზო. „რომას“ ნილს ლიდპოლში წვრთნიდა და ყოველივე ამაზე გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი. „ლივერპულში“ კი თამაშობდნენ უელსელები, სქოთები, ირლანდიელები და ინგლისელები. ერთი ზიმბაბველიც ჰყავდათ და „ლივერპული“ ბოლო ათი წლის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი იყო. მწვრთნელი ჯო ფევენი ბობ პეისლის შემდეგ მისულიყო გუნდში. რობი ჩემპიონთა თასის ფინალს მასპინძლობდა და „რომა“ იდგა ისტორიული წუთის წინაშე — პირველად შეეძლო ჩემპიონთა თასის მოგება. „ლივერპულს“ უკვე ამ თასის სამი ასლი ედგა „ენფილდის“ მუზეუმში.

ეგებ ამიტომაც, კენი დაღვლიშის სიტყვე-



REUTERS

ისტორიის უხვარ სეპილას იხსნის: რომაული ძაბინა და ლივერპული ოუენი ოლინდალ ბრძოლას ბანაგრძობენ

ბი თამაში იყო და არც იყო თამაში: „მე მესმის რომაელების მათთვის ეს ისტორიული თამაშია, ჩვენთვის — მორიგი ფინალი“. ამ მძიმე თამაშს დრამატული გმირებიც ჰყავდა და ნაღდი გმირებიც. უკოლო დამატებით დროს პენალტების სერია მოჰყვა და ლივერპულელთა ზიმბაბველმა მეკარემ ბრუს გრამბლარმა გადამწყვეტ წუთს თავში კომიკური ძალა იპოვა, რაც რომაელთათვის ნამდვილ დრამად იქცა. ინგლისელმა კრის ნიკოლმა პირველივე პენალტი ააცილა. მეორე ჯერზე გრობელარმა კონტის აუღო. მესამე ჯერი ორივე მხრიდან უცდომელი იყო. მეოთხეზე ბურთთან იან რაში მივიდა და ზუსტად დაარტყა. მერე ბურთთან გრაციანი მივიდა და ნიშნულზე

გაასწორა. სადღაც სხვაგან იყურებოდა. გრძელი, შუბლიან შეთხლებული თმა გაჩენილი ჰქონდა. ეგებ არც სურდა კარისკენ გახედვა. კარში მწვანესვიტრიანი, შავულვანა ჯეველი იდგა და იცინოდა, იდგა და თეატრალურად ცაჩახებდა, აქაოდა, ყველას მუხლები გიკანკალებოდა ჩემს მეტსო. ეს იყო ცირკი გადამწყვეტ წამს და გრაციანიმ ძალიან ცუდად დაარტყა, ბურთი კარის ზედა ძელს გადააფრინდა. მერე გამოვიდა ალან კენედი, თხლიშმა და „ლივერპულმა“ მეოთხედ მოიგო ჩემპიონთა თასი...
ეს ყველაფერი კი იმიტომ გვახსენდება, რომ ორი კვირის წინათ, „რომა“ და „ლივერპული“ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

სტანდარტი

ირაკლი გაყარულია

ოდესღაც და შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ოდესღაც — ვინაიდან ფეხბურთელის კარიერა ისეთი რამ არის, გუშინდელი ამბავი ძალიან ძველად მოგეგნება — ოდესღაც, ანუ რამდენიმე წლის წინ კახა კალაძეს „მილანის“ მისურა ეცვა.

ეს ის დრო იყო, როდესაც „ფკ სამტრედიას“ თავის სამინაო სამოსად „მილანის“ შავ-წითელი ფერის სამოსი აერჩია, გასვლით სამოსად კი „ინტერის“ შავ-ლურჯი ფორმა მოერგო. კახა კალაძე მაშინ ჰა და ჰა, თექვსმეტისაჯ არ იქნებოდა, ამპლუის მამიებელი მოზარდი იყო და, შესაბამისად, იშვიათად ჩანდა სამტრედიელთა ძირითად შემადგენლობაში.

მერე იყო ყმაწვილთა კლუბი „თბილისი“, თექვსმეტწლამდელთა ნაკრები, თბილისის „დინამო“, კიევის „დინამო“ და ამ ზამთარს ყველაზე ძვირი ქართველი ფეხბურთელის სახელით გადასვლა „მილანში“. ბიჭობიდან ნაცნობი საგუნდო ფერი კალაძის საკლუბო ფერადაც იქცა.

მსოფლიო ფეხბურთში ერთერთი განთქმული ისტორია, პატარა ქალაქის პატარა კლუბიდან დაძრული ფეხბურთელის ამბავია. ამ ისტორიის უმთავრესი საყრდენი პელეა და ეს ისტორია ფეხბურთივით უკვდავია. ეს ისტორია თავისთავად მეტად სწრაფია, ამიტომ სიტყვა „ოდესღაც“ მისი თხრობისას სწორია და საჭირო. ლეგენდარულ სტადიონზე მდგომ ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ახსოვს, რომ ოდესღაც, ანუ ხუთიოდ წლის წინათ ერთ პატარა ქალაქში აგორებდა ბურთს.

კახა კალაძესაც ახსოვს, რომ ფეხბურთში თავდამხმედლად მივიდა. მისი ამპლუა არაერთი ჭკვიანი და თვალმახვილი კაცის რჩევითა და ყურისგდებით ჩამოიქნა. არადა, ამ ფეხბურთელის შემთხვევაში, სიტყვა ამპლუა მთლად ზუსტი არ არის, ვინაიდან კალაძე თავისი მეტად თანამედროვე საფეხბურთო ცოდნით ერთს კი არა, რამდენიმე სათამაშო პოზიციას ერგება. „მილანში“ სულ ერთი თვის გადასული ორ სხვადასხვა ადგილას მოსინჯეს და ორივეგან წარმატებულად, თავისებური სისადავით და სიმტკიცით ითამაშა — დაცვის ცენტრშიაც და საყრდენ ნახევარმცველადაც. მას მარც-

ხენა ფრთაზე თამაშაც შეუძლია, მაგრამ „მილანში“ ეს პოზიცია პოლო მალდინის უპყრია. შეუძლია — ეს დღევანდელი ფეხბურთისთვის მეტად საჭირო სიტყვაა, შეუძლია რა და სად? შეუძლია ეს და ეს, აქ... იქ... და იქაც.

კალაძე სწორად გაზრდილი და კარგად ნასწავლი ფეხბურთელია. მისი ფიზიკური იერი და ნიჭი ზუსტად ერგება მისსავე სათამაშო მანერას, შესაძლებლობებს. კალაძე დღევანდელი ევროპული ფეხბურთის ნაღდი წარმომადგენელია, ერთერთი ნიმუშია იმისა,

თუ როგორ მოთამაშებზეა მოთხოვნილება დღევანდელ ფეხბურთში, სტაბილური, უმფოთველი, ორიბარძობებში კარგი და ხისტი, ახოვანი და ბურთის დაუვიანებლად მიმწოდებელი, დარტყმის მცოდნე, პოზიციის შემრჩევი... აი, სტანდარტების ერთი ნაწილი და კალაძეც სრულად აკმაყოფილებს მას.

სტანდარტს მალლა საფეხბურთო გენიოსები ადიან, სტანდარტს დაბლა პროფესიონალს სულ უფრო და უფრო უჭირს. ფეხბურთის თამაში კი მეტად და მეტად ჰკვიდა მის ფრიალო-

სნებზე, ანუ იმათზე, ვინც სტანდარტებს სანიმუშოდ აკმაყოფილებს.

არა, კახა კალაძეს ტყუილად არ ეცვა შავ-წითელი მისურა. ეს ერთგვარი სიმბოლოა ყმაწვილთა საფეხბურთო ოცნებებისა. ოცნებათა ახდენას დღევანდელ ფეხბურთში ნიჭთან ერთად შრომა და ბევრი კარგი, პატიოსანი მასწავლებელი სჭირდება. კარგია, რომ კახა კალაძის შემთხვევაში ეს ყველაფერი მოხდა.

შედეგაც მშვენიერია - ევროპული სტანდარტი.

კახა კალაძე (მარჯვნივ), არავის ეკუთვნის, თვითი ინიციატივით ალუასანდრო დელ პიეროსაც აი



REUTERS



წითელი

და უპაპი

ვინ (რა) დახვდა ბალახს მილანში?



ალბერტო ძაპარინი

სოლომონ გულიანაშვილი

თეპერვლის დასაწყისში კახა კალაძემ ძველი მეგობრის, ანდრეი შევჩენკოს თანხლებით, მილანელოს საწვრთნელი ცენტრის კარი შეაღო. იქაურები ამბობენ, თუ „სან სიროს“ სტადიონი „ლა სკალა“, მაშინ მილანელო უნივერსიტეტი. რატომაც არა, ცენტრის

დირექტორი ანტორე პელოსი სულ რამდენიმე წუთში დაგიმტკიცებთ, რომ 1963 წლიდან, მას მერე, რაც მილანელო აშენდა, იქ მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებს უვარჯიშობდნენ და დაოსტატებულან. კოსტა და მოვლილი ადგილია მილანელო, სიმწვანეში ჩაფლული პატარა ტყითა და ტბით. კრიალა ჰაერი მოძრაობისკენ უბიძგებს კაცს. ტყეს რომ ჩაუ-

ყვეთ, მრავალ ცნობილ მოთამაშეს მოჰკრავთ თვალს. ზოგი სეინრობს, ზოგიც დაძუნძუნებს და იარებს ამგვარად იშუშებს. ორი ძალიან ჰყავთ: მაქსი და დიანა. ესენი გადავარდნილი ბურთების მოტანაში გაწვრთნილან და ლამის ფეხბურთის თამაშიც უსწავლიათ. საცხოვრებელში 46 ოთახია. მათგან ერთი პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ეკუთვნის, თუ-

მცა პატრონს იქ სულ ერთხელ სძინებია, 1989 წლის 15 მარტს, „მილან“-„ვერდერის“ მატჩის წინ. დღეს ამ ოთახში არგენტინელი გული და სალა ცხოვრობენ. წელიწადნახევრის წინ ბერლუსკონიმ „მილანის“ ტელეკანი დააარსა. Milan chanel ყოველდღე გადის ეთერში. როგორც ადგილობრივები ხუმრობენ, ტელეკამერები ლამისაა მილანე-

ქანალო გაბაზო (მარცხნივ) არც თავს იხდობს და არც მოწინააღმდეგეს



REUTERS

ლოს ტუალეტებშიც დადგანო. მხიარული და საკმიანი ადგილია მილანელო. კალამეს კი დილმის ბაზისა და კიევეური „კონა ზასპას“ შემდეგ, ლეგენდების ნათელ ექვს საუკეთესო მიწოდორზე მოუწევს წვრთნა.

მაინც ვინ არიან ისინი, ვისთანაც კახა ითამაშებს? უპირველესად სერია A-ს ბომბარდირი შვეჩენკო. მერე ბრაზილიელები ლუონარდო და როკო უუნიორი, გერმანელი ბირჰოფი, არგენტინელები შამოტი და რედინდო, ხორვატი ბობანი, ფრანგი ბა, დანიელი ჰელვეგი... კახას კბილა ბიჭები, ფეხმარდი ესპანელი შემტევი ხოსე მარი და „სალერნიტანადან“ გადაბირებული ბრაზიანი ნახევარმცველი გატუზო. მასზე ამბობენ, უფროხილით, არც თავს ინდობს და არც მოწინააღმდეგესო. პირველ გუნდთან ვარჯიშობენ ჯერაც პირტიტველა მცველები ფერი და „ბოკა ხუნიორსიდან“ ნაყიდი კოლოჩინი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავრები ვინ არიან? ვინ და, ბუნებრივია, „დიდი სამეული“: მალდინი-კოსტაკურტა-ალბერტინი... მილანში ჩასვლის პირველივე დღეს კახამ ტელეფონით გვეთხრა: შვეჩენკოს, მალდინისა და კოსტაკურტას ველი, წუთი-წუთზე უნდა მომაკითხონ, რესტორანში შეპატივებინაო.

აი, ოლივერ ბირჰოფის ნაამბობიც: „მასხოვს, პირველი სადღილი მილანელოში. მალდინის, ალბერტინისა და კოსტაკურტას მაგიდასთან ერთი ადგილი თავისუფალი იყო. იქ თურმე „ჩელსიში“ გადასვლამდე დესაი იჯდა ხოლმე, როცა იქით გავემართე, ყველას გაუკვირდა, იფიქრეს, „სენატორების მაგიდასთან“ ასე ურცხვად როგორ მივიდაო. არადა, არც დაგვფიქრებულვარ. უბრალოდ, თავისუფალი ადგილი ვნახე და დავეჯექი“.

ისე ნუ წარმიდგენთ, თითქოს „მილანში“ „დელოვშინი“ მივინვარებდეს. ეგაა, რომ ამ ფეხბურთელების ავტორიტეტი დანარჩენების მოწიწებას იწვევს. ესენი ბერლუსკონის ეპოქის შვილები არიან. კოსტაკურტა 35 წლის ხდება, მალდინი — 33-ის, ალბერტინი — 30-ის...

კოსტაკურტა იმითაცაა ცნობილი, რომ ულამაზესი გოგო, ტელეეკარსკვლავი მარტინა კოლომბარი უყვარს. „ის თავაზიანია, კარგად აღზრდილი, ელეგანტური, რაც ფიზიკურ მომხიბვლელობასთან ერთად მალდინის მნიშვნელოვანია. მას ყოჩაღი ბიჭის შესახედაობა აქვს“ — ასე აფასებს ყოფილი „მის იტალია“ მიჯნურს.

მალდინის არათუ „მილანის“,



ლეონარდო (მარცხნივ) და სანტორანელი დიდი ღოგი

მთელი იტალიური ფეხბურთის სახეს უწოდებენ. აბა, წარმოიდგინეთ, პირველი მატჩი „სანსიროზე“ 16 წლისამ, 1985-ის იანვარში ითამაშა და მას მერე, უკვე 15 წელიწადია, უმაღლეს დონეს არ ჩამოსცილებია. ბოლო ათწლეულში მსოფლიოს უძლიერეს მარცხენა მცველად

მიიჩნევენ, იტალიელებისთვის კი იტალიელობის ერთგვარი გამოხატულებაა — მაღალი, ცისფერ თვალეუბა, ათლეტური, თანაც ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევს. მოკლედ ისაა, ვისაც ნებისმიერი იტალიური ოჯახი სიძედ ისურვებდა. თუმცა რაღა იტალია, უნდა გენახათ, რა დღე-

ში იყვნენ ჩვენი გოგოები, როცა „სკუადრა აპურასთან“ ერთად თბილისში ჩამოვიდა...

ერთიხანობა მისი კარიერა, თითქოს დაღმა დაეშვა, „მილანიც“ ხომ ციებ-ცხელებას შეუპყრო, მაგრამ ბოლო დროს ისევ ჭაბუკივით ათამაშდა. თვითონ ამბობს, ყველაფერს მეუღლე აღ-

როგა ჟენიორგა ლიდსალ ალან სიბს ააოზა





ბადნიერი მალდინეაი:
კაოლო, ალრინა და ჯოისტიანი

რიანასთან და პატარა კრისტინთან ყოფნა მირჩევნია, თუმცა ვარჯიშებს კვლავაც დიდი პასუხისმგებლობით ვასრულებ და იმედი მაქვს, „მილანთან“ ერთად რაიმე დიდს კიდევ მოვიგებო.

ბერლუსკონიმ „მილანი“ 1986 წელს ჩაიბარა. მაშინ გუნდი სერია B-ში ჩაკარგულიყო და გაკოტრებასაც აღარაფერი უკლდა. ბერლუსკონის მისვლით კი „შაე-წითელთა“ ცხოვრებაში ახალი დროება დაიწყო. ამ თხუთმეტი წლის მანძილზე „როსონერები“ (შაე-წითლები) ექვსჯერ გახდნენ იტალიის ჩემპიონები, სამჯერ ჩემპიონთა და ორჯერაც საკონტინენტთაშორისო თასები მოიპოვეს.

დიდებული შედეგია. მაგრამ გულიტისა და ვან ბასტენის დრო წარსულს ჩაბარდა და ჩავარდნაც დაიწყო. 90-იანის ბოლოსკენ გუნდი ცხრილის შუაში გაიჩხირა. ბერლუსკონი გამოსავალს ეძებდა. ერთი ხანობა, რივრივობით ძველი და სახელიანი მწვრთნელები, ტაბარესი, საკი და კაპელი დააბრუნა, მაგრამ როგორც იტყვიან ხოლმე, მდინარეში მეორედ ვეღარ შევიდნენ და კრიზისიც გამძაფრდა. ბევრი იფიქრა პრეზიდენტმა თუ ცოტა, 1998 წლის ზაფხულში საჭირო კაცი პროვინციაში მოძებნა. სასტუმროს მფლობელმა ალბერტო ძაკერონიმ

მისი ყურადღება „უდინეზეში“ მუშაობით მიიპყრო. უდინეში „ძაკი“ სამ წელიწადს იღვწოდა, მანამდე კი დაბალ ლიგებში იწვრიობოდა.

შერე, ერთი შეხედვით უცნაური რამ მოხდა. ძაკერონიმ „მილანს“ პირველივე სეზონში სკუდეტო მოაგებინა. სხვათა შორის, ასევე დაიწვეს საკი (1988), კაპელი (1992) და ნერეო როკომ (1962), შემდეგ კი უდიდეს ევროწარმატებებსაც შესწვდნენ.

რა იყო ეს, უბრალოდ დამთხვევა თუ ძაკერონის ხანის დასაწყისი? თავიდან ყველა კმაყოფილი ჩანდა, თუმცა ადგილობრივი კალმოსნები მწარედ ხუმრობდნენ: სკუდეტო „მილანმა“ კი არ მოიგო, „ლაციომ“ წააგო. მართლაც, ყველაფერი უნებურად დამთავრდა. ძაკერონი ამბობდა, დიდი გუნდის შენებას ნელ-ნელა ვაპირებთ, წლეულს მოკრძალებული მიზანი გვაქვს — ოთხეულში მოვხვდეთ და ჩემპიონთა ლიგის საეზური დავიბევიოთ. მაგრამ თავიდან ჩრდილში მყოფმა, ბოლოს აიწვიტა და რომაელებს ჩემპიონობა ზედ ცხვირწინ ააცალა.

იმავე შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგაში ჩავარდნამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში „მილანმა“ თურქეთის ჩემპიონ „გალათასარაისთან“ 2:3 წააგო. თანაც ორი ბურთი ბოლო სამ წუთ-

მიჯნაოვება იტალიურად: ალესანდრო ჯოსტაპურტა და მარტინა ჯოლომბარი





თუ „სან სირო“ „ლა სალა“, მაშინ მილანელო უნივერსიტეტი

ში გაუშვა. შედეგად, „როსონერები“ არა მარტო ლიგას, უფროს თასის საგზურსაც დაემშვიდობენ და ჯამში 27 მილიონი დოლარი დაკარგეს. „გაძემა დელო სპორტი“ ანიშნავდა: „სიმართლე ისაა, რომ 1999 წლის „მილანი“ სასაცილო შესახელია და რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს. თურქეთთან მატჩში უსუსური ფეხბურთელების ლანდები ვიხილეთ, რომლებსაც ზურგზე განთქმული გვარები ეწერათ“.

სეზონის შუაში გუნდის მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ ზურგმტკივანი გამთამაშებელი ზვონიმი ბოზანი გამოაკლდათ. დემეტრიო ალბერტინი, რომელსაც ბურთის ართმევაში ციოტა თუ გაუტოლდება, აშკარად ვერ იყო ფორმაში. შეგნეკო თითქოს დანარჩენებს მოწყვეტოდა და თუ სერია A-ს ბომბარდირი გახდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ნიჭის ნაყოფია. თუმცა ჩემპიონატში დაკავებულმა მესამე ადგილმა „შავ-წითლებს“ ლიგის გზა გაუხსნა.

ვითარება არც წლეულს შეცვლილა. „მილანს“ მისი ამბიციების შესაფერისი შემადგენლობა არ ჰყავსო — წერს „კორიერე დელა სერა“. ბოლო დროს დაკერონის ხშირად აკრიტიკებენ და ვარაუდობენ, თუ უახლოეს ხანში საქმე არ გამოსწორდა,

„სან სიროზე“ აღარავინ გააჩერებსო. დაკერონი ფეხბურთელების ტრავმებით იმართლებს თავს. მართლაც, თებერვალში ლამის ნახევარი გუნდი დამავებული ჰყავდა — ალბერტინი, ამბროზინი, გატუზო, შამოტი და კოსტაკურტა ის ხალხია, გუნდის თამაშს რომ განსაზღვრავენ.

თავად დაკერონი იმედიანადაა. მიაჩნია, რომ დაკარგული არაფერია და ოთხეულს მიღმა არ დარჩება, რაც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის წინაპირობაა. „არასდროს არაფრით ვკამოფილდები“ — ასეთია დაკერონის ფილოსოფია.

იტალიურ მედიას კი განსხვავებული აზრი აქვს. აი, ციტატა „გაძემა დელო სპორტიდან“: „მილანმა ვერაფრით დაიბრუნა საკუთარი სახე. პრობლემები დიდ ხანია დაუგროვდა, მაგრამ შარშანწინ მოგებულმა სკუდეტომ ეტყობა, ხელმძღვანელები დაამშვიდა და მცდარ გზაზე დააყენა. ბოლოს რა გამოვიდა? ერთი ტაქტიკური სექმიდან მეორეზე გადასვლამ გუნდს ვერაფერი არგო, თამაშში კი დაკარვა ის, რაც გააჩნდა. საკამათო არაა, რომ დღევანდელი შემადგენლობით „მილანს“ ერთობ საეჭვო მომავალი აქვს და გაიისისთვის ბევრი რამის საფუძვლიანად შეცვლა მიუწევს. დაკერონი? ცხადაა, მასაც წყა-

ლი შეუდგა, რადგან ვერც რგოლებს შორის ურთიერთობა მოაწესრიგა და ვერც საჭირო სათამაშო წყობა დაადგინა.

ეგებ კრიტიკა გადამეტებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იტალიაში მოვლენებს ჩვენგან განსხვავებულად აღიქვამენ და „მილანიც“ ისეთი მსუყე ნაჭურია, ყველა და ყოველთვის სიამოვნებით რომ ჰკამს. პატარა წაფორნილებსაც არ აპატიებენ. ამას „შავ-წითელთა“ სახელი და ტრადიცია მოითხოვს.

დაკერონიც ეტებს. ცდილობს გუნდს ახალი სისხლი შემატოს და თუ დასცალდა, ალბათ, შემადგენლობასაც გადაახალისებს. ბოლო შენაძენი კალაძეა. ქართ-

ველმა „როსონერებთან“ ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და დაცვის გასაძლიერებლად და მოწოდებული. „კახა ძლიერი და მრავალმხრივი ფეხბურთელია. ერთნაირი სიძლიერით შეუძლია ნახევარდაცვის ცენტრში, სტოპერად და მარცხნივ თამაში. დესაის მავონებს. ჩემი აზრით, კალაძე ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება „მილანის“ დაცვაში, როგორც თავდასხმაში შეგნეკოა. ჩვენ მას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ“ — ამბობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და დარწმუნებულია, რომ სამომავლოდ ერთი საჭირო კაცი უპკე იპოვა.

| მილანი (იტალია) | |
|--|--|
| დაარსდა: | 1899 წლის 16 დეკემბერს |
| პრეზიდენტი: | სილვიო ბერლუსკონი |
| ვიცე-პრეზიდენტი: | ადრიანო გალიანი |
| გენერალური დირექტორი: | არიედო პარიდა |
| მთავარი მწვრთნელი: | ალბერტო აკერონი |
| კაპიტანი: | პაოლო მალდინი |
| სტადიონი: | „სან სირო“ /ტევადობა 85 700 |
| ფორმა: | შავ-წითელი |
| კლუბის საუკუნის ფეხბურთელი: | ფრანკო ბარეზი /716 მატჩი |
| საუკეთესო ბომბარდირი: | გუნარ ნორდალი /257 მატჩი, 210 გოლი |
| იტალიის ჩემპიონი /16: | 1901, 06, 07, 51, 55, 57, 59, 62, 68, 79, 88, 92, 93, 94, 96, 99 |
| იტალიის თასის მფლობელი /4: | 1967, 72, 73, 77 |
| იტალიის სუპერთასის მფლობელი /4: | 1989, 92, 93, 94 |
| ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი /5: | 1963, 69, 89, 90, 94 |
| ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი /2: | 1968, 73 |
| ევროპის სუპერთასის მფლობელი /3: | 1989, 90, 95 |
| საკონტინენტთაშორისო „ტოიოტას“ თასის მფლობელი /3: | 1969, 89, 90 |



საოცარი 4 მარტი

კვანძი მეოთხედწინააღმართისა



კვანძი კვანძალიანი

109%-91 ფლავის სუზონის თასების ფეხბურთის თასი. მეოთხედწინააღმართი
4.III.1981. ლონდონი. სტ. „ეპტონ პარკი“. 35 000 მაყურებელი



დინამო თბილისი 1:4 ვესტ ჰემი (ინგლისი)



0:1 ჩივაქე /24, 0:2 გუცავეი /31, 1:2 კროსი /54, 1:3, 1:4 შენგელია /55, 67
ვესტ ჰემი: პარკსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, მარტინი, დევონშირი /ალენი 46, ნეი-ბორი, გოლარდი, კროსი, ბრუკინგი, პაიკი
დინამო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაქე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცავეი, ყიფიანი, შენგელია
გაფრთხილება: ხინჩაგაშვილი
მსაჯი: ა. გარიდო /პორტუგალია

18.III.1981. თბილისი. სტ. „დინამო“. 90 000 მაყურებელი



დინამო თბილისი 0:1 ვესტ ჰემი (ინგლისი)



0:1 პირსონი /87
დინამო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაქე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ჭილაია /მუჯირი 77, სვანაძე, სულაქველიძე, გუცავეი, ყიფიანი, შენგელია
ვესტ ჰემი: პარკსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, მარტინი, ბრაში, ნეიბორი, გოლარდი /პირსონი 65, კროსი, ბრუკინგი, პაიკი
მსაჯი: ვ. ეშვაილერი /გერმანია

ქართველებმა გვასწავლეს შექსპირის დადგმა და ფეხბურთის თამაში.

ამ წერილზე მუშაობისას სურვილი მქონდა, ძველ დინამოელებთან, იმ მატჩის თუნდაც ერთ მონაწილესთან ერთად შენახა „ვესტ ჰემი“ — „დინამოს“ ლონდონური შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. ვფიქრობდი, თუ

ნდაც მეასეჯერ ნანახით გამოწვეული მთავარი გმირის ემოცია ერთიორად გამიილუბდა საქმეს... არ გამოვიდა. მოძველებული ვენერატორის ხრევიანში მარტოდ დარჩენილი ვისმენდი კოტე მახარადის ალტე-

„ბარდნიანი“

ალექსანდრა ჩივაქა მეოთხედწინააღმართის ორივე მახვედრაში გაუდარავალი იყო



საარაბილოს არქივიდან

ნებულ „ს მიაჩნძ ტბილისცი“-ს... და შავთუთრმა, მოძველებულმა ფორმაც კი ვერ გაანელა ის შეგრძნება, რომ თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა, თითქოს წინადლით შენც იყავი იმ ზეიმის მონაწილე, სტადიონზე იდექი, ნანახმა, ალაგფრთოვანა და დღეს კიდე უყურებ, უყურებ ზგალაც...

20 წელი გასულა ლონდონური ტრიუმფიდან...

თასების მფლობელთა თასის მეოთხედწინააღმართში „დინამოელთა“ გასვლა ბევრს არ აეჭვებდა. წინა მეტოქე ირლანდიური „უოტერფორდი“ არ იყო ნოდარ ახალკაცის გუნდის შემერებელი ასეც მოხდა. „დინამომ“ ორი მატჩის ჯამში 5:0 სძლია მეტოქეს და გულმემატკივრები მხოლოდ იმის ფიქრშია იყვნენ, თუ ვინ შეხვდებოდა ჩვენს გუნდს მომდევნო ეტაპზე. იყო სასურველი ვარიანტებიც. „ნიუპორტი“, „სლავია“... კუნჭისყრამ კი „ვესტ ჰემი“ გვარგუნა. 1981 წლის 4 მარტს „ეპტონ პარკზე“ ელოდნენ ინგლისელები ქართველებს.

1981 წლის 4 მარტს გადაჭედილი იყო „დინამოს“ სტადიონიც. მოსკოვის „სპარტაკი“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისში მასპინძლობდა სახელოვან „რეალს“. ადვილი მისახვედრია დღევანდელი „ეროვნული“ მაშინ რომელმა გუნდმა უფრო გააესო. იქნებ იმ დიდი სიხარულის მოლოდინმაც მიიფვანა ქართველები სტადიონზე მატჩის მსვლელობისას რომ გაცხადდა... დიქტორმა საზეიმოდ გამოაცხადა — „დღეს თორმეტის ნახევარზე საკავშირო ტელევიზიის პირველი არხი „ვესტ ჰემი“ — „დინამოს“ პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემს ლონდონიდან“. ამის თქმა იყო და ლამის დაინგრა სტადიონი, ვიღას ახსოვდა „სპარტაკი“ ან „რეალი“. იმ დღეს ხალხი ღამის მოლოდინით ცხოვრობდა... ჩემი სტუმრობის მიზეზის გაგებისას თვალეებში სხივი ჩაუდგა ალექსანდრე ჩივა-

ბეს. მაგიდაზე ყველაზე ახლოს მდებარე წიგნს დასწვდა, ერთხანს ფურცლა, ოცი წელი გასულაო, ჩაილაპარაკა...

„ამ მატჩისთვის მოსამზადებელი პერიოდი გუნდთან ერთად არ გამივლია. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვემზადებოდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევისთვის. „ვესტ ჰემი“ ძლიერი გუნდი იყო. ინგლისის II ლიგაში კი თამაშობდა, მაგრამ იმხანად ლიდერობდა გათამაშებას და მომავალი სეზონისთვის ფაქტობრივად განაღდეული ჰქონდა რჩეულია შორის აღზევება. თანაც ინგლისის ლიგის თასის ფინალში იყო გასული, „ლივერპულს“ უნდა შეხედროდა, ხოლო ახალკაცს ჩვენი მომავალი მეტოქის თამაშის ვიდეოფირი ჰქონდა ნანახი და საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებაც დარჩა. გვაფრთხილებდა, რომ მეტად ძლიერ, ძნელად დასამორჩილებელ გუნდს უნდა გავჯიბრობოდათ.

ლონდონში ვამეზარებამდე რუსუბლიკის პირველ პირს (ელუარდ შვეარდნაძეს) შევხვდით და ჩინებულ ხასიათზეც დავდექით. უამბისიდაც წარმატების დიდი იმედი გვქონდა. გუნდში ახალგაზრდებიც ვიყავით, იფუნენ შედარებით გამოცდილებიც, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ საერთაშორისო მატჩების ვარკვეული გამოცდილება ყველას გვქონდა. თუმცა, მიუხედავად ამისა რაღაც ეტაპს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. არადა, საშინაო ასპარეზზე ყველაფერი მოგებული გვქონდა. ახლა უკვე კაცილებით დიდ დონეზე უნდა დავკვეშტოცებინა ჩვენი შესაძლებლობები და ვგრძნობდით, ჩვენი შემჩერებული არავინ იყო.

ხოლო ახალკაცის საოცარი პროფესიონალიზმის წყალობით ერთი დიდი პლუსი გვქონდა — ვცდილობდით ერთმანეთის საუკეთესო თვისებების გამოყენებას და სწორედ ეს ვახლდათ ჩვენი წარმატების უმთავრესი ფაქტორი. ამიტომ, გამოვიტყეებით, კენჭისყრის შედეგს ჩვენივე, ფუნებურთულებებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენ მზად ვიყავით ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად...

ლონდონს „დინამომდე“ რობერტ სტურუას დასი სტუმრობდა, ქართველების დადგმულ „რიჩარდ III“-ს გრანდიოზული წარმატება ხვდა ბრიტანეთის დედაქალაქში. მაშინ ინგლისელები ფუნებურ დაუდგნენ ქა-



თბილისური აბაჩი ზაურ სპანაძისთვის (შუაში) ვკროვალ სარბილზე გეორგი იყო

როულ წარმოდგენას, ფუნებურ იდგა ოთხმოცდაათწუთიანი სპექტაკლის შედეგ „ეპტონ პარკიც“.

...პორტუგალიელმა მსაჯვმა გარიდომ მოედანზე უხბო გუნდებს. ქართველთა შორის ზაურ სვანაძეა, ნიჭიერ ნახევარმცველს პირველად ენლო ნოდარ ახალკაცი საერთაშორისო ოფიციალურ მატჩში...

„ზაურმა იმ დღეს დაამტკიცა თავისი პროფესიონალიზმი, დებიუტანტის არაფერი ეტყობოდა, უშიშრად იბრძოდა. მეტოქემ თავიდანვე შემოგვიტია. პირველი 20 წუთი ერთობ ვაგვიჭირდა, თითქმის ყრუ დაცვაში ჩავყვებით და ეფექტური კონტრშეტევების იმედად ვიყავით. ამ მხრივაც ბევრი არაფერი გამოგვსვლია. ერთხელ თუ ორჯერ ვადავადით შეტევაზე. ვაგვიჭირდა. ნელნელა როგორღაც დაემშვიდდით, თამაში დაგალაგეთ, პირველი მეტოქის მერე მეტოქეც დაცხრა და ჩვენც ხელ-ფეხი ვაგვეხსნა. მერე კი ჩემთვის დაუვიწყარი რამ მოხდა. „ვესტ ჰემი“ მარჯვენა ფრთიდან ვვიტევედა. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი თავით გამოვიტანე ბურთი გუცაგვს მიუვიდა. წამებში ორივე მივხვდით, რა უნდა გვექნა მეტოქის ნახვერისკენ ვაიქეცი, ვოვამაც პასი არ დამიგვიანა და... ვონს მაშინლა მოვეგე ბურთი პარკის კარში რომ შევარდა...“

ადვილი შესაძლებელი იყო, „დინამოს“ ლონდონური ტრიუმფი არც კი რეგებოდა, ვინაიდან უიფამ „ვესტ ჰემი“ კინლამ მოხსნა თასების მფლობელთა თასის გათამაშებიდან. პირველ წრეში ლონდონელები ესპანურ „კასტილიას“ ხვდებოდნენ სტუმრად. მადრიდში ჩასულმა ინგლისელმა ფანებმა ჩვეულად იგოქეს და შედეგად ერთი გვაში

სტადიონზე დატოვეს, ასამდე დებოშიორი კი ვისოსებს მიღმა აღმოჩნდა. უეფაც ვანრისხდა, თუმც ბოლოს მაინც 30 ათასი შევიცარიული ფრანკიან ჯარიმას და საპასუხო მატჩის ცარიელ სტადიონზე თამაშს დააჯერა „ვესტ ჰემი“. ლონდონში ჯონ ლაიოლის შევირდებმა დიღოსტატურად დაუტრიალეს 1:3 მადრიდელებს და დამატებით დროში კროსმა საბოლოოდ მოულო ბოლო „კასტილიას“ სამერვედფინალო ოცნებებს. „დინამოს“ მომავალმა მეტოქემ მერვედფინალში რუმინულ „პოლიტექნიკას“ ჩაუტარა პატარა საფუნებურთო ვაკვეთილი. „ეპტონ პარკევე“ ცხადყო ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულის ვინაობა.

4 მარტის ფაგორიტებადაც ლონდონელები ითვლებოდნენ. იმხანად „ვესტ ჰემი“ ქვედა ლიგაში კი ასპარეზობდა, მაგრამ

HAMMER
THE OFFICIAL PROGRAMME OF
WEST HAM UNITED FC

WEST HAM UNITED
VERSUS
DINAMO TBILISI
EUROPEAN CUP WINNERS CUP
Quarter-Final : First Leg
Wednesday 4 March 1981 : 7.30 p.m.

30p

„ვესტ ჰემი“ - „დინამოს“
ლონდონური და თბილისური
პროგრამები

პირველი მანჩესტერის თასის მფლობელთა თასი
მეორე მანჩესტერის მატჩი

„დინამო“
(თბილისი, სსრ კავშირი)

თბილისის
მ. ი. ლენინის სახელობის
„დინამო“ საბოლოო

18. III. 1981
დასაწყისი 19 საათზე

„ვესტ ჰემი“
(ლონდონი, ინგლისი)

„ДИНАМО“
(ТБИЛИСИ, СССР)

„ВЕСТ ХЭМ“
(ЛОНДОН, АНГЛИЯ)

ДИНАМО
(ТБИЛИСИ, СССР)

WEST HAM
(ЛОНДОН, АНГЛИЯ)



გაზეთი „ლალო“ 1981 წლის მარტში

უახლოეს მდევარს საგრძობლად უსწრებდა და პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჰქონდა რჩეულთა შორის ანაცვლების საკითხი. თანაც ჯონ ლაილის გუნდი ჭიპმოჭრილი გახლდათ ევროსარბიულზე „ჩაქუჩებმა“ 1965 წელს „უემბლიზე“ 100 000 ქომაგის თვალწინ „მიუნხენ 1860“-ს სძლიეს თასების მფლობელთა თასის ფინალში. ერთი წლის შემდეგ იმავე გათამაშების ნახევარფინალში გააღწიეს და დორტმუნდის „ბორუსიასთან“ წააგეს ორმატნიანი დუელი. 1976 წელს კი „ვესტ ჰემი“ კლავი ფინალში გავიდა. „იიხელზე“ პოლანდის და რობსონის ვოლები საკმარისი არ აღმოჩნდა „ანდერლეხტმა“ 4:2 გაიმარჯვა და თასების მფლობელთა თასი დაიგულა. იმ გუნდში „ჩაქუჩისა“ 1981 წლის შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი თამაშობდა და მთავარი მწვრთნელიც ჯონ ლაილი იყო...

„ჩივაძის გოლმა წამით დააღუმა „ბიტონ პარკი“.

„მეტოქემ შემოგვიტია, მაგრამ მზად დავხვდი მის იერიშებს. მალე გუცაგვმა ბონდს აცალა ბურთი და შეკარესთან პირისპირ გასულმა მეორე ვოლი გაიტანა. ძნელია სიტყვებით იმ გრძნობის გადმოცემა, რასაც შესვენებისას გასახდელში ვანვიციდილით მხოლოდ ფარსადანოვის არ შეცვლია საზე ახალკაცი კლავაც შეფიქრებულნი იყო, თითქოს წინასწარ გრძობდა, რომ ყველაფერი არ იყო დამთავრებული. აქი მეორე ტაიმის განახლებიდან ცოტა ხნის შემდეგ კროსმა ერთი ვოლი გაქვითა, მაგრამ ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო და შესველიას ჯერიც დადგა ბეკრისთვის დაუჯერებელი რამ მოხდა: 68-ე წუთისთვის 4:1-ს ვივებდით“...

მერე კი გარიდომაც ჩასტყინა. დაუვიწყარია ჯონ ლაილის მატჩის შემდეგ ნათქვამი ალალი სიტყვები: „თუ ჩვენ გვიწერია ბრძოლას გამოვეთიშოთ, თავს ვინუგეშებ იმით, რომ წავაგეთ ისეთ პირველხარისხოვან გუნდთან, როგორც თბილისის „დინამო“. ამ გუნდს ახასიათებს ყველა

ის თვისება, რასაც მე ვაფასებ ფეხბურთში“.

დიუსელდორფამდე მაინც შორი იყო, მაგრამ თბილისში გმირებად დაბრუნდნენ დინამოელები. ზღვა ხალხი აეროპორტში, გაუთავებელი მილოცვები, წერილები „დიდი სამშობლოს“ სხვადასხვა კუთხიდან, მაშინ იყო ელექტროსტაულ მაგან ფელოტოვს ამ მოვლენამ რომ ათქმევინა — ქართული ფეხბურთი კავკასიის მთებზე მაღალია. „ვესტ ჰემი“ „დინამოს“ მატჩი ოქროს სიტყვებში ჩაატია აწ განსვენებულმა კომპოზიტორმა რევაზ ლალიძემ: „ლონდონში ჩვენი ბიჭების გამოსვლა შეხმატკბილებულ, მრავალხმიან ქართულ მუსიკას ჰვავდა. ჭეშმარიტი ხელოვნების წინაშე ძნელია თავშეკავება და ამიტომაც გააცილეს ინგლისელებმა ტაშით ჩვენი ბიჭები გასახდელში“.

ინგლისშიც და საქართველოშიც ბევრისთვის უკვე გარკვეული იყო ნახევარფინალისტი ვინაობა. ნოდარ ახალკაცი კი ჩვეულ სტილს არ დალატობდა: „მეთხედფინალი ორი მატჩისგან შედგება და ირლთამაშს არ უნდა ველოდით თბილისში. მე სათანადოდ ვაფასებ ინგლისელთა შესაძლებლობებს. ისინი, როგორც წესი, იბრძვიან ბოლო წუთამდე, უკანასკნელ შანსამდე. ასე რომ, საბოლოოდ ყველაფერი გაირკვევა მხოლოდ 18 მარტს, საპასუხო მატჩში“.

„ვესტ ჰემი“ 17 ფეხბურთელით და 180-კაციანი დედეგაციით გამოემგზავრა თბილისში. სტუმართა გუნდი ჩინებულ ხასია-

თზე გახლდათ. 14 მარტს „ჩაქუჩებმა“ ინგლისის ლიგის თასის ფინალში „ლივერპულთან“ იომეს და პრაქტიკულად წაგებული მატჩი ბოლო წუთზე სასწაულებრივ გადაარჩინეს. ის ფინალი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, მაშინ, ლიგის თასის ისტორიაში ყველაზე დრამატულად მიიჩნია. დამატებით დროში „ვესტ ჰემი“ 117-ე წუთზე 0:1-ს აგებდა და ამაოდ აწყვებოდა მერსისაიდელთა კარს, მაგრამ ბოლო შეტევა იბლბიანი გამოდგა, კარში მიმაველი ბურთი ლივერპულმა მცველმა ხელით შეაჩერა. მსაჯმა პენალტი დანიშნა. იქვე თამაშში დაამთავრა, მაგრამ ცხადია თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება დაუტოვა ტვილორს. შოტლანდიელმა შტატანმა პენალტისტმაც შანსი გამოიყენა და თავისიანებს გადათამაშებისკენ გაუსწრაფა.

„თხუთმეტი წლიდან „ვესტ ჰემში“ ვარ, მარცხენა მცველობით დავიწყე და 41 წლისა უკვე გუნდის მენეჯერი ვავხდი. მარცხისთვისაც ბევრჯერ გამისწორებია თვალი, მაგრამ ბოლომდე ბრძოლის ფასიც კარგად მაქვს გაცნობიერებული. ამიტომ ბრძოლას, დიდ ბრძოლას ვპირდებით“ — ამბობდა ჯონ ლაილი მატჩის წინ.

„დიდი გუნდი იყო „ვესტ ჰემი“ და ეს თბილისშიც დატკიცდა. აქც უამრავი მომენტები ვეკონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომელიმე მათგანი რომ გამოგვეყვებინა, მაინც ვერ ვავტეხდით ინგლისელთა ყინს და მონდომებას. ისინი საბრძოლად იყვნენ განწყობილნი და აქი მატჩის ბოლოს თავისიც გაიტანეს. პირსონის გოლმა სტუმრებს მოუხედავად საერთო ჯამში დამარცხებისა, მაინც შუება და სიხარული მოგვკარა“ — ჩივაძე ისევ წივს დასწვდა და ფიქრებში ჩაიძირა, მერე კი... „ოცი წელი გავიდა... ნოდარი აღარ არის ვიტალი“.

ოცი წელი გავიდა და დარჩა მხოლოდ მოგონება, რომელიც სიამაყის გრძნობას გიტოვებს.

ამსწინათ კონსტანტინ ბესკოვის 80 წლის იუბილე გრანდიოზულად აღნიშნეს რუსებმა. ინგლისელ ვეტერანებთან სათანადოდ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში საქართველოდან ალექსანდრე ჩივაძე მიიწვიეს.

მატჩის შემდეგ გამართულ გრანდიოზულ ბანკეტზე კონფერანსიუმ ცეცხანზე იუბილარი მიიწვია, მერე კი მის გუნდსაც უხმო: დასავეი... გავრილოვი... ჩივაძე... მეზობელი მაგიდიდან ყოფილი ვესტჰემელები და ლივერპულელები წამოიშალნენ. ბრუკინგი, კროსი, ბონდსი, ბატჩერი, ვილკინსი, მარტინი... მათი ტაში დიდხანს ისმოდა დარბაზში... მოსკოვში ძველმა ნაცნობებმა მაგიდები შეაერთეს...

| მომხმარებლის შედეგები | |
|--|---|
| ფეინოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — სლავია (ბულგარეთი) 4:0 (2:3) | ნიშპორტი (შელსი) — პარლ ცაიხი (იენა, გერ) 0:1 (2:2) |
| ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — ფორტუნა (გფრ) 1:0 (2:2) | |
| ნახმარებლის წაღისხრა | |
| დინამო (თბილისი, სსრკ) — ფეინოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) | ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — კარლ ცაიხი (იენა, გერ) |



UEFA

CHAMPIONS
LEAGUE


აქამ აბზაპი თაპის პოპიუიანეპისა და სხპა...

გიორგი დარჯანიძე

„ეს ბოლო წუთზე გაშვება რაღა“ — დაიწვია არსენ ვენგერმა „ლიონთან“ მატჩის შემდეგ. „არსენალის“ კარში ედმილსონის ამ გოლმა G ჯგუფის ინტრიგა შეუნარჩუნა, რომელიც „სიკვდილისად“ მიჩნეულ D ჯგუფს უკვე დაკარგული აქვს. საზოგადოდ, „სიკვდილის ჯგუფს“ იმიტომ ჰქვია ასე, რომ ვინმე ბოლოა მოკვდეს. ასე დამართა რომის „ლაციოს“, მეტიც — ის ნაადრევად მოკვდა, ორი ტურით ადრე. არადა, ერისკონის დანატოვარი ნული ქულითაც შეეძლო გაძრომის შანსის შენარჩუნება. მაღრიდში გოლი მალევე გაიტანა, იკერ კასილიასმაც სულელურად გაუშვა, მერე რომშიც ორჯერ წინ გაიჭრა, მაგრამ... მაღრიდში ბოლო წუთებზე დანიშნული საე-

ჭვო პენალტი, რომში სოლარის და რაულის გოლები, კრესპოს ხარინხისთვის გარტყმული ბურთი... „ანდერლეხტის“ მწვრთნელი ემე ანტუნესი იმუქრებოდა, „ლიდსს“ ორ მატჩში ოთხი ქულა უნდა ავართვათო. ერთსაც ვერ გაწვდა. ლიდსში თავი მოივიჟიანა (ამჯერად კარგი გაგებით) ლი ბოიერმა და სასამართლოს დარბაზიდან თავპირისმტყვერვით გამოქცეულმა ბოლო წუთებზე გამარჯვებისა შეაგლო. ერთი კვირის შემდეგ ბრიუსელში ჩასულ „ლიდსს“ ბოიერი აღარ ჰყავდა, მაგრამ „ანდერლეხტის“ გასაბითურებლად აღან სმიტისა და მარკ ვიდუკას ყოლაც საკმარისი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტმა“ ამ სეზონში პირველი სამინაო მატჩი წააგო. „ბაიერნმა“ გააქარწყელა მი-

თი, რომ რუსული ყინვა რუსული გუნდების მხარესაა. ამის დასტურია „ლუჟნიკზე“ გატანილი სამი გერმანული გოლიც; ამათგან მესამე კი სულაც ბრაზილიელი პაულო სერჟიოსი, რომელიც წესით ყველაზე მეტად უნდა გაეინულიყო. მეოთხედფინალში გასვლის შანსი B ჯგუფის აუტსაიდერ „პარი სენ ჟერმენსაც“ აქვს. ეს შანსი უფრო თეორიულია, მაგრამ რა მოხდებოდა მილანელ ხოსე მარის 91-ე წუთზე რომ არ გაეტანა? თუმცა ასე ლაპარაკი შორს წავიყვანს. მაშინ ისიც ვთქვათ, რომ პარიზელი რობერის გოლი მეორე ცდაზე გავიდა — საჯარიმოს შესრულებისას მილანურმა კედელმა ცხრა მეტრის წესი დაარღვია და რობერმაც ხელახლა დაატრტა. არადა, ასეთი დარღვევები ძალიან ხშირად ხდება.



REUTERS

პალენსიელი მენდიტაბა გარჯხული მანესტარული ბარბაჟის ნინაულმდე

ჯგუფის ლიდერია „ვალანთასარაი“. თურქულ გუნდზე გასულ სეზონში გამუდმებით იძახდნენ აი, ახლა გავარდებო, მან კი უეფას თასი მიიგო. „ვალანთასარაი“ გავარდნას ახლაც ელიან, ის კი ვიუტად არ აპირებს. წაგების მერე „დეპორტივომ“ თქვა, ჩამოვლენ ისინი ლაკორუნიაში და ვანახებთ, რა ძალაც აქვს „რაიასორსო“. სიტყვის კაცი გამოდგა ამის მიქმეული ირურეტა.

„ვალენსია“-„მანჩესტერი“ და „მანჩესტერი“-„ვალენსია“ საყურებლად „რელი“-„ლაციოს“ ნახევარი მაინც რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა. ყოვლად უსახური თამაშები გამოდგა. უესლი ბრაუნის ავტოგოლიც ვერ გამოდგა შარშანდელი როი კინის ავტოგოლის ნაირი.

ამათმა თამაშით, „შტურმმა“ კი შედეგით გააწვბილა ბერძნები და მეფსონეები. გაეინსუნოთ, რომ ავსტრიელებმა პირველ ეტაპზე „რეინჯერსი“ და „მონაკო“ შეიწირეს, ახლა კი „პანათინაიკოსი“, თან ორმაგად — ათენელები ჯგუფშიც ჩარჩნენ და მწვრთნელი ანგულოს ანასტასიადისიც გაექცათ, „შტურმთან“ ორჯერ წაგება ვერ გადაიტანა.

მაშ ასე, „რელი“ და „ლიდისი“ უკვე მეოთხედფინალში არიან. „ბაიერნს“ და „არსენალს“ კი ექამდე სულ რაღაც ერთი წუთი დააკლდათ — ლონდონში ედმილსონის ის გოლი რომ არ გაეტანა, ახლა თავი ქედში ექნებოდათ.

მილანელი მალდინის და პარიზელი ანელაას საჰაერო თავგადასავალი



REUTERS

სპორტსმენი

ხელბურთი მორბედი გაღრმავდა



უბანს აქაოსონ რიჩარდსონი

საზრანგებითი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ისევე როგორც 1995 წელს, ეს ამჯერადაც დიდი მოულოდნელობა იყო. ექვსი წლის წინ ისლანდიაში ჯეკსონ რიჩარდსონის კაპიტნობით ფრანგი ხელბურთელები პირველები შეიქმნენ, თავის ქვეყანას გუნდურ სახეობაში მსოფლიოში უძლიერესის სახელი რომ მოუტანეს. მერე საფრანგეთმა ფეხბურთშიც ივარგა. ახლა კი ისევ ხელბურთელებმა ივაჟკაცეს და საკუთარი მაცურებლის მხარდაჭერით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. კაპიტანი ისევ რიჩარდსონი იყო, მთავარი მწვრთნელი კი უწინდებურად დაჩივლ კონსტანტინი, კაცო, რომელმაც შექმნა კიდევ ფრანგული ხელბურთი.

ფინალი უმშვენიერესი სახასავი გამოდგა. უდაბნულესი მატჩის ძირითადი დრო ფრედ 22:22 დასრულდა. დაინიშნა ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი, რომელთაგან პირველში გუნდებმა თითო გოლის შეგდება შეძლეს. რა დამართათ მეორეში შევდებს, ძნელი სათქმელია. მასპინძლებმა სამი გოლი მიითვალეს, მათმა მეკარემ ერთიც არ გაუშვა და...



ეჭვსა ურამ მუსაბედი ბაღია

3 თებერვალს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სარავბო ტურნირი, ექვსი ერის პირველობა დაიწყო. ინგლისი, ირლანდია, საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია და იტალია მეორედ ჩაებნენ ამ შეჯიბრებაში, რომელსაც იტალიის დამატებამდე ხუთი ერი ეწოდებოდა. ევროპელმა სარავბო ბობოლებმა ჯერჯერობით მხოლოდ ორი ტური გამართეს და ბევრი რამ კიდევ გასარკვევია, თუმცა ზოგიერთ კითხვას უკვე გაეცა პასუხი.

პირველ ტურში ინგლისმა და ირლანდიამ სტუმრად იმარჯვეს. მათ შესაბამისად უელსი და იტალია გაანადგურეს.

ტურის მესამე მატჩი „სტად დე ფრანსუე“ გაიმართა და „მამლებმა“ რის ვაივავლანით დაამარცხეს შოტლანდია. ორ კვირაში კი ფრანგები ირლანდიას ესტუმრნენ და კუნძულებთან 1983 წლის შემდეგ პირველად წააგეს სტუმრად.

შოტლანდიამ და უელსმა ფრედ ითამაშეს და კვლავ მოუგებელნი არიან, თუმცა ხის კოვზისთვის „ბრძოლას“ უკვე გამოეთიშნენ. ეს პრიზი ახლა მხოლოდ იტალიასა შეიძლება ერგოს.



მაღალ მთებში

ალპური თხილამურობის მექამ, ავსტრიამ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. თებერვლის პირველ ნახევარში ტიროლის პროვინციას მიაშურეს რჩეულმა სამთომთხილამურეებმა, 50 ათასმა ფანმა თუ ტურისტმა რამდენიმე ქვეყნიდან და ზოგიერთი სახელმწიფოს პირველმა პირმა, რომელთაგან რუსთა პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს გამოვარჩევთ. „ჰერმინატორად“ წოდებული ჰერმან მაიერისგან სანტ ანტონში ბევრს ელოდნენ და ცოტა მიიღეს. სამი პირველი ადგილის ნაცვლად მაიერმა ცალი ვერცხლითა და ბრინჯაოთი დატოვა მშობლიური მხარე და გაბრაზებულმა იაპონიაში მსოფლიოს თასის ეტაპს მიაშურა, სვლაც ძველებურად დაანგრია ყველა მეტოქე.

| ქალები | |
|-------------------------------------|---------------------------------|
| სლალომი: | ანია ბაერსონი /შვედეთი |
| გიგანტური სლალომი: | სონია ნიფი /შვეიცარია |
| სუპერგიგანტი: | რეფინ კავანიუ /საფრანგეთი |
| სწრაფდამბეზი: | მიქაელა დორფმისტერი /ავსტრია |
| კომბინაცია /სლალომი + სწრაფდამბეზი: | მარტინა ერტილი /გერმანია |
| ბავსები | |
| სლალომი: | მარიო ბატი /ავსტრია |
| გიგანტური სლალომი: | მიხაელ ფონ გრუნიგენი /შვეიცარია |
| სუპერგიგანტი: | დერონ რალფსი /აშშ (ფოტოზე) |
| სწრაფდამბეზი: | ჰანეს ტრინკელი /ავსტრია |
| კომბინაცია: | კეტილ ამოლტი /ნორვეგია |



თბილისის „აროვნალუ“ მასობრივი ბოჩალოსათა მორიგი ვაჟასოვის მოხა გახდა: საპროტოკოლო - პორტუგალია 36:12

გაყინული ტიტები და წაქცეული ღობოსები

4 თებერვალს მორაგბეთა „ევროპის ერთა თასის“ მეორე გათამაშება დაიწყო. საქართველოს ნაკრებმა „ერთა თასზე“ შარშანაც ითამაშა და მესამე ადგილი დაიკავა. არადა ბოლო დღეებში საქმე ისეთი პირი უჩანდა, „ბორჯღალოსნებს“ ამ შეჯიბრების მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ პირველად წაავთ თბილისში რუმინეთის ნაკრებთან და წინ ესპანეთიც გაუშვა. სავანგებოდ ამ ტურნირისთვის დამზადებულ თასს მაშინ რუმინეთი დაეპატრონა.

ზარმ სვანიძე

წლებანდელი გათამაშება მისი წინამორბედისგან განსხვავებით, სახეშეცვლილია. იგი ორ წრედ ჩატარდება და იმავდროულად 2003 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო შეჯიბრებაც გახლავთ. ამდენად ყოველი მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი 2002 წლის შემოდგომაზე პირდაპირ მეოთხე შესარჩევ ეტაპზე გასულად ჩაითვლება და იქიდან მსოფლიოს თასის ფინალურ შეჯიბრში მოსახვედრად უფრო სუსტ კონკურენტთან შინ ერთადერთი მატჩის მოგებაც

ეყოფა. და კიდევ შარშან უკონკურსოდ მონაწილე მარკოს ნაცვლად ჩვენებურებს ამ ბოლო დროს სავრძობლად მომძღვრებულ რუსეთის ნაკრებთან მოუწევთ ჭიდილი. ჩვენი სლავი მეზობელი ამიერიდან „ევროპის ერთა თასის“ სრულყოფილებიანი წევრია. ეს გადაწყვეტილება შარშან ივნისში, იერუსალიმში გამართულ ევროპის სარაგბო გაერთიანების (აერ) თავყრილობაზე მიიღეს. ასე რომ, ბებური კონტინენტის რაგბის მამებმა მარკო თასიდან დაითხოვეს და რუსეთით შეცვალეს, ამით კი 2001 წლისთვის წმინდა ევროპული სათასო ექსკლუივი შეადგინეს.

პროტოკოლოთა ფრანგი მწვრთნელი ალოდ სორალი (მარსხნი) მასპარეზობას ატარებდა





მედიკოსი

გრეგუარ იაშვილი ისტორიული საგობლოს სახელით იბრძვის

თებერვლის დასაწყისში განახლებული „ერთა თასის“ გათამაშებაში ჩვენივენი ორი გამოსარჩევი ანბავი მოხდა. პირველი ის, რომ პოლანდიასთან მატჩში ქართველი ემიგრანტის შემკვიდრე (ცნობილი ფრანგი მორაგბის მიმულ იაშვილის ვაჟი) გრეგუარ იაშვილი ისტორიული საშობლოს სამსახურში ჩადგა და თავისი დებიუტი ლელოთიც დაამშვენა. მეორეც, „ეროვნულზე“ პორტუგალიელებთან მატჩში თელო ზიზნიბაძემ „ლოლოსები“ შექქეს და დაალოლოვა. ეს ლელო კი საიუბილეო შე-100 აღმოჩნდა ბორჯღალოსანთა 39-მატჩიან ისტორიაში. თუმცე ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვით.

„ერთა თასის“ გათამაშება საქართველოს ნაკრებმა მძლავრად დაიწყო. ტურნირის საწყის მატჩში, ამსტერდამში მათ მასპინძელ „ტიტებს“ გადაურბინეს — 32:3. პოლანდიელთა რბევა გრეგუარ იაშვილმა ლელო-

თი დაიწყო. აქვე გეტყვით, რომ გრეგუარს ადრეც შეეძლო გავბორჯღალოსნება, მაგრამ ორი წლის წინათ ტონვასთან მატჩის წინ, ვარჯიშზე ხელი მოიტეხა და მისი სანაკრებო დებიუტი პოლანდიასთან თამაშადე გადაიღო. ქართველებმა მეტოქეს კიდეც სამი ლელო, სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაუტანეს, პასუხად კი ერთადერთი საჯარიმო მიიღეს.

„ბორჯღალოსანთა“ ფრანგი თავაკაცის კლოდ სორელის მიერ შეჩრეული ტაქტიკა ცალკე სათქმელია. მუსიე სორელმა ჩვენს მორკინალებს ვასილ კაცაძეს და გია ლაბაძეს ამპლუა შეუცვალა და გარემარბებად გამწესა. უჩვეულო გარემომში აღმოჩენილი „ფრთები“ მატჩის მეტ დროს უსაქმოდ ატარებდნენ, რადგან მიედანზე თოვლი იღო და მიეული შეხვედრის განმავლობაში წვიმდა, ასეუ ავდარში კი შეუძლებელი იყო გაშლილი და კომბინაციუ-


რი თამაში. მატჩის მიელება სიმძიმემ ჩვენს ღონიერ შერკინებაზე გადაიარა.

სორელმა თავის არჩეულ ტაქტიკას არც პორტუგალიელებთან უღალატა. მართალია, ჩვენმა მორაგებებმა ამ მატჩშიც იძალეს და გამარჯვებით სვლა განაგრძეს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს აშკარად უკეთ გარჯა მართებს. ჩვენდა ბედად, პორტუგალია ვერ აღმოჩნდა იმ ღონის მეტოქე, რომელსაც ვერ მოვერეოდით. გამარჯვება უდავოდ დამსახურებული იყო, მაგრამ გასაკვირია ის, რომ ბატონი სორელი ამ ღონის მატჩებს საექსპერიმენტოდ იყენებს. პორტუგალიასთანაც ჩაუქი ფორვარდი გია ლაბაძე შერკინების ფრთის ნაცვლად, მიეული თამაში უკანა ხაზში, გარემარბად მოცდა, რამაც ჩვენებურთა იერიშებს სიმწვავე და ეშხი დაუკარგა. თუმცე ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. სამაგიეროდ, „ბორჯღალოსანთა“ შერკინების პირველი და მეორე ხაზი ვასიარჯვა კარგად. ჩვენმა მორკინალებმა მეტოქის ზორბა მობურთალნი პატარა ბიჭვებით და იბრიყვეს და სტუმრებს ექვსი ლელოთი გაუმასპინძლდნენ.

პრობის პროა თასი

| GEORGIA | 2% | %1- | 2% | %2 | GEORGIA | |
|--------------|----|-------------------------|----|-------|---------|---|
| პირველი წრე | | | | | | |
| 4 თებერვალი | | | | | | |
| პოლანდია | — | სამართველო / ანსტარღაბი | □ | 3:32 | | |
| საანეთი | — | რუბინეთი / ვაღრიფი | □ | 29:30 | | |
| პორტუგალია | — | რუბინეთი / ლისაპონი | □ | 0:47 | | |
| 17 თებერვალი | | | | | | |
| სამართველო | — | პორტუგალია / თხილინი | □ | 36:12 | | |
| 18 თებერვალი | | | | | | |
| პოლანდია | — | რუბინეთი / ანსტარღაბი | □ | 20:41 | | |
| საანეთი | — | რუბინეთი / სპილია | □ | 12:27 | | |
| 4 მარტი | | | | | | |
| რუბინეთი | — | სამართველო / კრანოღარი | □ | | | |
| რუბინეთი | — | პოლანდია / მოსტანა | □ | | | |
| საანეთი | — | პორტუგალია / ვაღრიფი | □ | | | |
| 18 მარტი | | | | | | |
| სამართველო | — | საანეთი / თხილინი | □ | | | |
| რუბინეთი | — | რუბინეთი / ვირღარი | □ | | | |
| პორტუგალია | — | პოლანდია / ლისაპონი | □ | | | |
| 8 აპრილი | | | | | | |
| რუბინეთი | — | სამართველო / ვაშარფსტი | □ | | | |
| რუბინეთი | — | პორტუგალია / კრანოღარი | □ | | | |
| პოლანდია | — | საანეთი / ანსტარღაბი | □ | | | |
| რუბინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 74:12 | 4 |
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 68:15 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 71:49 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 41:57 | 0 |
| პოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 23:73 | 0 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 12:83 | 0 |

ის აუპატიურებს, ყურებს კბერს და შვილებს ჭამს



შარმან, ლუ სავარეზესთან ჩხუბის
ნინ, ბრიტანეთის კრივის რალაც
ზეორგანომ ერთი ამბავი ატეხა, ეგ
მაიკ ტაისონი ჩვენს ქვეყანაში
ჩამობრძანებას რომ ლამობს, ერთი
ისიც მოგვახსენოს, თავი რა ჯურის
ანტიდეგრესანტებით გააქვსო.
მოკლედ, დიდი ალიაქოთი დაინყო.
გაზეთებმა თემა დააბზრიალეს და
გაშალეს: არის კი მოველურო ზანგის
კაცი კეთილშობილი საზოგადოების
ნინამე რინგზე გასვლის ღირსი? —
კითხულობდნენ ისინი.

ტუტა სინარულიკა

„ახლად წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც ფილადელფიელი მსუ-
ბუქწონოსანი ლივერპულში ექვსრაუნდიანი ბრძოლის გამა-
რთვას ფიქრობს და თან ანტიდეგრესანტებით მკურნალობს.
მიაქცევდა ვინმე ამ ამბავს ყურადღებას? რა თქმა უნდა, არა.



REUTERS

კი, მაგრამ, რა განსხვავებაა? ან კი რავინდა რა ანტიდეგრე-
სანტმა როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს ტაისონის ჩხუ-
ბზე? — კითხულობდა იმხანად ჟურნალ „რინგის“ ტაისონი-
სადმი კეთილგანწყობილი მიმომხილველი უილიამ დეტლოფი.

„საუკუნე ახლა დაიწყო და ამიტომ ძალიან ძნელია იმას,
რაც შეიძლება წლეულს მოხდეს, საუკუნის მოვლენა დაარქვა.
ალბათ, არც დაარქმევენ, მაგრამ ფაქტია, რომ საუკუნეს დიდე-
ბული დასაწყისი ელის: ლენოქს ლუისი მაიკ ტაისონის წინა-
აღმდეგ ანუ კარგი ბიჭი VS ცუდი ბიჭი. ო, ეს უამრავ მილიონ
დოლარს მოიტანს. შეიძლება ითქვას, აქ თავად კრივზე მნიშ-
ვნელოვანი სხვა რამ არის, თუნდაც წინასტორიები და იგივე
მილიონები.

მაგრამ არის სხვა მოსაზრებაც. აი, რას წერს „რინგის“
სხვა მიმომხილველი, აივან გოლდმანი: „კალათბურთში შეიძ-
ლება იყოს მოთამაშე, რომელიც საკუთარ მწვერთონელს ყელში
სწვდება. შესაძლებელია ისიც, რომ ბეისბოლისტებმა მსაჯს
შეაფურთხონ, მაგრამ კრივს უფლება არ აქვს გარისკოს და
რინგზე ტაისონის მაგვარი ვინმე გაუშვას. ეს სახეობა ძალიან
სახიფათო ასეთი ფუფუნებისთვის.“

კვლავ გოლდმანი: „ის (ტაისონი) მაყურებელს ზუსტად იმით
იზიდავს, რითაც ვიდუოკასეტა ავტოკატასტროფების შესახებ.
აქ კრივი არაფერ შუაშია. ეს ადამიანის სულის ბნელი დერე-
ფნის ამოძახილია.“

და მაინც, ზალსს ლუისი ტაისონის წინააღმდეგ სწყურია.
ეს არის კარგი და ცუდი ბიჭების ჩხუბი უშეკლებელი მუშტე-
ბით. დღეს ცუდ ბიჭზე ვლაპარაკობთ.

ის, როგორც ვითხარით, ანტიდეგრესანტებით მკურნალობს
და ერთხელ ლუისზე თქვა, მისი შვილების შეკვმა მინდაო.
ლუისს შვილები არ ჰყავს.

სხვისი შვილების მჭამელი მაიკ ტაისონი ქვეყნიერებას 1966
წლის 30 ივნისს ნიუ იორკის უბან ბრუკლინში მოევილია. მამა

რინის მაიკი ნითელი ხალთათმანებით



REUTERS

სულ ორჯერ ჰყავს ნანახი. 12 წლისა დააპატიმრეს, რადგან ბანანების გამყიდველს „იარაღი დააღო“ და ფული აართვა. სპეცსკოლაში მიბარებული ცნობილმა მწვრთნელმა კას დ'ამატომ აღმოაჩინა — აი, მომავალი ჩემპიონი — და იშვილა. 1982 წელს უკვე ჩვეულებრივი სკოლიდან გააგდეს. მიზეზი: ფათურაკები, ფათურაკები... შემდეგ მამობილი მოკვდა და ტაისონის მენეჯერობა ჯიმ ჯეკობსმა იკისრა. ეს 1984 წელს მოხდა, როდესაც ბრუკლინელი აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მიღმა დარჩა და ერთი წლის შემდეგ პროფესიულ კარიერას შეუდგა. პირველ ბრძოლაში ეკტორ მერსედესი აღმოჩნდა ნოკაუტში.

1986 წელს მსოფლიოს კრივის ისტორიაში მძიმეწონის ჩემპიონად ყველაზე ახალგაზრდა ეკურთხა: მეორე რაუნდში ტრევიორ ბერბეის დანოკაუტების შემდეგ WBC-ს ქაშირი 20 წლის ტაისონს შემოარტყეს.

1987 წელს ტაისონმა ერთ-ერთ პარკინგზე, რასაც ჩვენებურად „სტაიანკა“, ხოლო კიდევ უფრო ჩვენებურად ავტოსადგომი ჰქვია, მანქანა გააჩერა და იქ მომუშავე ქალის კონკრა განიზრახა. ამასობაში ვილკამ უთხრა, მანქანა გასწი, მიშლიო, რამაც მოკრივე გააცოფა და... სასამართლოს გადაურჩა. იმავე წელიწადს „მელისმტრეველი“ ჯეიმს სმიტი დაამარცხა (მსაჯთა უმრავლესობის აზრით) და WBA-ს ქაშირიც შემოირტყა, ხოლო როდესაც ტონი ტაკერთანაც (ქულებით) მოიგო და IBF-ის ტიტულიც მიითვისა, მსოფლიოს საყოველთაო ჩემპიონად გამოაცხადეს.

შემდეგ წელიწადს, 8 თებერვალს, მაიკ ტაისონმა რობინ გივენსზე იქორწინა.

რობინ გივენსი მსახიობი იყო, ტაისონამდე კალათბურთის ვარსკვლავთ ვარსკვლავს, მაიკლ ჯორდანს ჰყვარობდა, ხოლო გათხოვდა თუ არა, ხალხი და სამართალი შეჰყარა, მაიკლი მე და დედაჩემს გვცემსო — ზედაც 3 მილიონი დოლარი და ნიუ

ბაისონი ალაბს გულგრილად ვერ უყურებს

მაიკი მთელ ღალაშინას საჩხუბრად იხედავს





REUTERS

რჩინის მაიკის რჩინის ჯენტლები

ჯერსის სახლი მოითხოვა. გაღიზიანებული მაიკი კი სისხამ დილით ქუჩაში, ყოფილ მეტოქეს მიჩ გრინს გადაყარა და საქმის გარჩევასას ხელი მოიტეხა.

აერია ცხოვრება. ჩაჯდა მანქანაში, მამობილის კას დ'ამატოს სახლისკენ გააქროლა, ხეს შეასკდა და გონი დაჰკარგა.

სასამართლოზე რობინ გივენსმა ქმარს დეპრესიული მანიაკი უწოდა, მასთან ჩემი ცხოვრება ვოჯოხეთი იყო. ტაისონი ცოლის გვერდით ყურებზამოყრილი იჯდა. შემდეგ მაიკი შინ მივიდა და ფანჯრიდან ავეჯი გადაყარა. პოლიციამ ჩემპიონი ძალით გამოასახლა. იქ ნაცოლარი და სიდერყოფილი შესახლდნენ.

მაიკ ტაისონი და რობინ გივენსი 1989 წელს დომინიკის რესპუბლიკაში განქორწინდნენ. ღოს ანჯელესში დაბრუნებულმა მოკრივემ ისევ პარკინგზე იჩხუბა. ცოტა ხნის შემდეგ კი სიჩქარის გადამეტებისთვის 200 დოლარით დააჯარიმეს.

რინგის ამბავიც გაინტერესებთ? 1990-ში, ტოკიოში, მე-10 რაუნდში ჯეიმს ბასტერ დაგლასმა დაანოკაუტა და ტიტული წაართვა. თუმცა, რა დროს კრევია, როდესაც რობინ გივენსის მეჯვარემ, ფილს პოლანერმა გაუპატიურების მცდელობასა და თავის მობეზრებაში დაადანაშაულა. კიდევ, მაგან სანდრა მილერზეც გაიქაჩა, მაგრამ დააჯარიმეს და ვე იყო.

გავიდა კიდევ წელიწადი. მაიკ ტაისონმა რვა თვის გოგონა, კიმბერლი სკარბორო იშვილა, თუმცა უმალ მორიგ შარში გაეხვია — 18 წლის „მის შავმა ამერიკამ“, დეზირი ვამინგტონმა იჩივლა, გამაუპატიურაო, ხოლო ვილაც ნატალი ფირსმა, მისგან შვილი მყავს და 8 მილიონი მომცესო. 1992 წელს სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ ფირსი ცრუობდა, თუმცა სასამართლომვე ბრძანა, ვამინგტონი არ ცრუობსო და ტაისონს 6 წლით პატიმრობა მიუსჯა.

ის 6 წელიწადს არ მჯდარა — კაცმა რომ თქვას, უმადლესი სკოლის დიპლომი რომ დაეცვა, თავიდანვე მხოლოდ 3 წელიწადს მიუსჯიდნენ, მაგრამ გამოცდაზე ჩაიჭრა — ნახევარი მოიხადა და გამოუშვეს.

1995 წელს მაიკ ტაისონი რინგზე დაბრუნდა — ჯერ ლას ვეგასში პიტერ მაკნილი 89 წამში დაამარცხა, შემდეგ კი ფილადელფიაში ბასტერ მატის უძეცროსს გაუშკლავდა სამ რაუნდში.

დადგა 1996 წელი და იმავე ლას ვეგასში WBC-ს ტიტულისთვის ფრენკ ბრუნოს ეჩხუბა. ტაისონმა სამ რაუნდში გაიმარჯვა. დაიბრუნა WBA-ს ქამარიც — ბრუს სელდონს სძლია — მაგრამ WBC-ს ჩემპიონს, ლენოქს ლუისს დაემალა.

WBA-ს ქამარი მაიკს იმავე წელიწადს აართვეს. ევანდერ პოლიფილდმა უმალ გამოიწვია და 11 რაუნდში სძლია. ტაისონმა რევანში გადაწყვიტა და 1997 წლის ზაფხულში რემატრიც დაინიშნა.

ალბთ იცით, რით დამთავრდა ეს ბრძოლა. რკინის მიკმა პოლიფილდს ყური მოაჭამა, რისთვისაც მესამე რაუნდშივე დისკვალიფიკაცია მისცეს, 3 მილიონი დოლარით დააჯარიმეს და საკრივო ლიცენზიაც ჩამოართვეს. სულ მალე კი კონექტიკუტში, მოტოვარიაში ნეკნები ჩაებტვრა და შემდეგ მერილენდში ვილაც მოტოციკლისტები სცემა.


1998 წელს ჩვენი წყრილის გმირი ნეკადის შტატის სპორტულ კომისიას მიმართავს, ბოლოს და ბოლოს რომელი სერიული მკვლეელი მე ვარ, ვთხოვთ, ლიცენზია დამიბრუნეთო. მართლაც დაუბრუნეს. ამჯერად, 19-თვიანი უქმობა სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთას ცემით დასრულდა.

მალე ის კვლავ ციხეში ბრუნდება — ვახსოვთ მოტოციკლისტებზე თავდასხმა? მაგრამ ერთი წლით პატიმრობამისჯილს სამ თვეში მაინც ათავისუფლებენ..

ხოლო ამის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა. გალახა ორდინ ნორისი, რომელსაც შარშან ჯულიუს ფრენსისი, ლუ სავარეზე და ანჯეი გოლიტა დააყოლა. ასე ცხოვრობს, ანტიდეპრესანტების დახმარებით. ცუდი ბიჭია, მილიონერი და მის მოწინააღმდეგე ჟურნალისტს აივან გოლდმანს თუ დაუჯვრებთ, თავისებურად ჭკვიანიც.

წლეულს მაიკი ლენოქს ლუისის შეილებს უპირებს შეჭმას. ვნახთო, ლუისს ხომ შეილები არ ჰყავს.

ბაისონის ჰინს ჰოლიფილდის ყური ემსხვერპლა



THE RING

პარსკვლავები ყინულზე

ავთანდილ გურასაშვილი ავტორის ფოტოები




მსოფლიოს ჩემპიონი
მიხაელ ჯვანი (აშშ)



ოლიმპიური და მსოფლიოს
ჩემპიონები სიბერაკოვაში
ილს ჰოსტი და იან გოსი (ჰოლანდია)

ბალაბი ყინულზე



ოზიციალურ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებათაგან საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიას მხოლოდ ხუთი სახეობა ითვლის. ესენია: ფიგურული ციგურაობა, ციგურებით რბოლა, სატრეკო ველორბოლა და ნიზოსნობა. დაგვეთანხმებით, მათ შორის ყველაზე „სამო არის საცქერლად“ ფიგურული ციგურაობა. ხელოვნებასთან წინაყარ ფიგურულ ციგურაობას ზოგჯერ ყინულზე ბალეტსაც უწოდებენ. აქ ერთმანეთს ერწყმის: მუსიკა, ქორეოგრაფია, კომპოზიცია, გრაციოზულობა და სპორტი.

ფიგურული ციგურაობის, როგორც სპორტის სახეობის განვითარებას, ხელი ყველაზე მეტად შეუწყო ამერიკელმა ჯეკსონ ჰენინგსმა, რომელიც სწორედ ბალეტით იყო შთაგონებული. ფიგურული ციგურაობა, როგორც სპორტის სახეობა, პირველად სწორედ მან წარმოადგინა. ეს მოხდა ლონდონში, 1763 წელს, თუმცა, მკვლევართათვის ცნობილი და უძველესი ფიგურული ციგურაობის კლუბი ჯერ კიდევ 1742 წელს დაარსდა ედინბურგში. იგი ამავე დროს თავის რიგებში აერთიანებდა საერთოდ მოციგურავეებსაც. ამ ორივე სახეობას აერთიანებს 1892 წელს შექმნილი ციგურაობის საერთაშორისო კავშირიც (ისუ). ამ ორგანიზაციის შექმნამდე ერთი წლით ადრე პამბურგში გაიმართა ევროპის ჩემპიონატები ციგურაობით რბოლასა და ფიგურულ ციგურაობაში, რომლებიც სპორტის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეჯიბრებები აღმოჩნდა.

ასე რომ, ამ საქმის დაწყებიდან 110 წელიწადი გასულა და ორივე სახეობას საიუბილეო თარიღი უდგას.

ორივე სახეობა მრავალ სპორტის ჭეშმარიტ ვარსკვლავს ითვლის, ფიგურულ ციგურაობას კი სულაც ვარსკვლავთა ოლიმპიურ სახეობას უწოდებენ. მას და საერთოდ ციგურაობას ხოტბას ასხამდნენ გერმანელი პოეტები ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკი და დიდი გოეთე.

მაგრამ ყინულზე სონია ჰენის ვარსკვლავის ამობრწყინებამდე ფიგურული ციგურაობა მანც ნაკლებ პოპულარული ყოფილა. მერე, როცა ამ ნორვეგიელმა 1928, 1932, 1936 წლების ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა და ათგზის მსოფლიოს ჩემპიონადაც მოგვევლინა, ფიგურული ციგურაობა ფრიად პოპულარული გახდა. ამან ხელი შეუწყო სონია ჰენის ვარსკვლავის ამობრწყინებას ჰოლივუდშიც.

გამოუთვლიათ და იმ დასკვნამდე მისულან, რომ ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიურ ჩემპიონს შეუძლია 20 მილიონი დოლარი გამოიმუშაოსო. ცხადია, ეს დამოკიდებულია თავად ჩემპიონის პიროვნებასა და აურაზე, ისეთ აურაზე, როგორიც ჰქონდათ სონია ჰენისა და ფიგურული ციგურაობის სულ ახლო წარსულის მეორე კაშკაშა ვარსკვლავს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, გერმანელ კატარინა ვიტს.







ფილა 1906

2000-01 წლების სეზონის ფოტო

ზედა რიგში: კოკო, ბელუგვა, სერფხიძე, ხოსე მარი, ბარბაქაძე, რიკე უჩიბორი, საფიაძე

მეორე რიგში: პულუგუცი, გრაიფიჯი, ბრინჩიძე, ფიორა, აბაიძე, როსი, დიდა, ალდრეაჩი, რედინდო, კობახიძე, ალოუ
მესამე რიგში: ალბერტიანი, კოსტაქურტა, გული, ტაიაჩიანი (მწვთინჯლის ასისტენტი), ბაფონი (ფინანსმადება), ძაკეროიანი (მწვთინჯლი), აგრესტი

სხვანაირი: აბაიძე, ბობანი, შაბოძე, კულიჩიანი, მადლიანი, გაბუჩი, აბრაიჩიანი, დე აშენტიანი, სალა

